

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

თავი I

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსავლები	16448.1	11821.1	7113.0	4708.1	11671.9	9858.9	1813.0
გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7700.5	7700.5	0.0
გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	1813.0	0.0	1813.0
სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2158.4	2158.4	0.0
ხარჯები	8614.3	7129.6	6286.3	843.3	10382.2	10172.2	210.0
შრომის ანაზღაურება	4817.9	3657.6	3546.2	111.4	5831.3	5676.1	155.2
საქონელი და მომსახურება	2705.6	2243.8	1792.8	451.0	3264.4	3224.6	39.8
პროცენტი	53.6	20.7	20.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	123.9	120.8	120.8	0.0	193.0	193.0	0.0
გრანტები	1.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	603.0	522.6	514.3	8.3	744.9	729.9	15.0
სხვა ხარჯები	308.4	564.1	291.5	272.6	313.6	313.6	0.0
საოპერაციო სალდო	7833.8	4691.6	826.7	3864.8	1289.7	-313.3	1603.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7075.2	4372.2	109.0	4263.2	1506.7	-96.3	1603.0
ზრდა	7859.2	4527.6	264.4	4263.2	1940.4	337.4	1603.0
კლება	784.0	155.4	155.4	0.0	433.7	433.7	0.0
მთლიანი სალდო	758.6	319.3	717.7	-398.4	-217.0	-217.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	675.7	277.8	676.2	-398.4	-300.0	-300.0	0.0
ზრდა	829.0	1107.1	802.2	304.9	0.0	0.0	0.0
კლება	153.3	829.3	126.0	703.3	300.0	300.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-82.9	-41.5	-41.5	0.0	-83.0	-83.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0	0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებლები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებლები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსულობები	17232.1	11976.5	7268.4	4708.1	12105.6	10292.6	1813.0
შემოსავლები	16448.1	11821.1	7113.0	4708.1	11671.9	9858.9	1813.0
არაფინანსური აქტივების კლება	784.0	155.4	155.4	0.0	433.7	433.7	0.0
გადასახდებლები	16556.4	11698.7	6592.2	5106.5	12405.6	10592.6	1813.0
ხარჯები	8614.3	7129.6	6286.3	843.3	10382.2	10172.2	210.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	7859.2	4527.6	264.4	4263.2	1940.4	337.4	1603.0
ვალდებულებების კლება	82.9	41.5	41.5	0.0	83.0	83.0	0.0
ნაშთის ცვლილება	675.7	277.8	676.2	-398.4	-300.0	-300.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 11 671.9 ათასი ლარით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი			2022 წლის პროექტი		
		სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი	სულ	საკუთარი	სახ. ბიუჯეტი
შემოსავლები	16448.1	11821.1	7113.0	4708.1	11671.9	9858.9	1813.0
გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7700.5	7700.5	0.0

გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	1813.0	0.0	1813.0
სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2158.4	2158.4	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 7700.5 ათასი ლარით.

გადასახადები	5466.3	5170.0	5170.0	0.0	7700.5	7700.5	0.0
ქონების გადასახადი	2099.6	2150.8	2150.8	0.0	2200.0	2200.0	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2099.6	2150.8	2150.8	0.0	2200.0	2200.0	0.0
უცხოური საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
სხვა გადასახადები (დღგ)	3366.7	3019.2	3019.2	0.0	5500.5	5500.5	0.0
გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე							

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 1813,0 ათასი ლარით.

გრანტები	9504.3	5708.1	1000.0	4708.1	1813.0	0.0	1813.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	586.4	416.4	0.0	416.4	185.0	0.0	210,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0		0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	650.0	1000.0	1000.0	0.0	0.0		0.0
კაპიტალური ტრანსფერი	8207.9	4291.7	0.0	4291.7	1569.3	0.0	1569.3
გრანტები მიმდინარე დანიშნულების	60.0	0.0	0.0	0.0	33.7		33,7

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2158.4 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლები	1477.5	943.0	943.0	0.0	2158.4	2158.4	0.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1292.4	830.7	830.7	0.0	1977.4	1977.4	0.0
პროცენტები	43.0	31.3	31.3	0.0	30.0	30.0	0.0
დივიდენდები		0.0	0.0	0.0	0.0		0.0
რენტა	1249.4	799.4	799.4	0.0	1947.4	1947.4	0.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის	1173.4	748.4	748.4	0.0	1902.4	1902.4	0.0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისთვის	1154.1	584.0	584.0	0.0	1200.0	1200.0	0.0
მოსაკრებელი წიაღისეულით სარგებლობისთვის	0.6	17.2	17.2	0.0	0.0		0.0
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის	13.7	4.5	4.5	0.0	0.0		0.0
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი	5.0	142.7	142.7	0.0	702.4	702.4	0.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	76.0	51.0	51.0	0.0	45.0	45.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	116.2	18.7	18.7	0.0	141.0	141.0	0.0
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	116.2	18.7	18.7	0.0	141.0	141.0	0.0
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	7.1	5.2	5.2	0.0	6.0	6.0	0.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე	99.7	13.5	13.5	0.0	90.0	90.0	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	9.4	0.0	0.0	0.0	45.0	45.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	41.7	67.0	67.0	0.0	40.0	40.0	0.0

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში		51.5	51.5	0.0	35.0	35.0	0.0
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	41.7	15.5	15.5	0.0	5.0	5.0	0.0
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	27.2	26.6	26.6	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **10 382,8** ათასი ლარით.

ხარჯები	8614.3	7129.6	6286.3	843.3	10382.2	10172.2	210.0
შრომის ანაზღაურება	4817.9	3657.6	3546.2	111.4	5831.3	5676.1	155.2
საქონელი და მომსახურება	2705.6	2243.8	1792.8	451.0	3264.4	3224.6	39.8
პროცენტი	53.6	20.7	20.7	0.0	35.0	35.0	0.0
სუბსიდიები	123.9	120.8	120.8	0.0	193.0	193.0	0.0
გრანტები	1.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	603.0	522.6	514.3	8.3	744.9	729.9	15.0
სხვა ხარჯები	308.4	564.1	291.5	272.6	313.6	313.6	0.0

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **1506.7** ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა **1940,4** ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება **433,7** ათასი ლარით.

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პრიორიტეტების მიხედვით მიხედვით	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
01 00	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	26.4	5.6	20.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6184.0	4653.4	1869.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3.2	0.0	5.0
04 00	განათლება	401.1	381.2	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	10.6	413.3	46.4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ	6625.3	5453.5	1940.4

არაფინანსური აქტივების კლავა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
ძირითადი აქტივები	96.8	747.2	0.0
არაწარმოებული აქტივები	18.0	36.8	433.7
სულ	114.8	784.0	433.7

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2845.9	2087.9	3475.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2703.0	2024.2	3475.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2560.1	2024.2	3255.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	100.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	142.9	63.7	120.0

7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	128.3	92.2	143.7
7 02 5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	128.3	92.2	143.7
704	ეკონომიკური საქმიანობა	5554.6	4562.0	2139.0
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	3260.3	2190.9	355.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3260.3	2190.9	355.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2294.3	2371.1	1783.8
705	გარემოს დაცვა	502.5	394.3	682.5
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	487.7	378.7	640.5
7 05 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	14.8	15.6	42.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1595.7	356.6	535.1
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	115.2	0.0	125.0
7063	წყალმომარაგება	1215.6	0.0	0.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	264.9	356.6	410.1
707	ჯანმრთელობის დაცვა	104.7	130.4	200.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	104.7	130.4	200.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2449.4	1632.5	2535.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1065.3	528.2	870.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1291.1	1084.1	1555.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	93.0	20.2	110.0
709	განათლება	2504.4	1663.0	1641.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1348.9	1028.3	1550.0
7092	ზოგადი განათლება	1144.1	632.6	70.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	11.4	2.1	21.0
710	სოციალური დაცვა	870.9	779.8	1054.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	870.9	779.8	1054.0
	სულ	16556.4	11698.7	12405.6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -- 217,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1289,7 ათასი ლარით.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	7833.8	4691.6	1289,7
მთლიანი სალდო	758.6	319.3	217,0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 300,0 ათასი ლარით. ფინანსური აქტივების კლება 300,0 ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2022 წლის განმავლობაში.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის 9 თვის ფაქტი	2022 წლის პროექტი
ზრდა	829.2	1107.1	0
კლება	153.3	829.3	300,0
სულ ფინანსური აქტივების ცვლილება	675.7	277.8	300.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -83.0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონის განკარგვის წესის“ შესაბამისად მერის მიერ;

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 185.0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85.0 ათასი ლარი;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 85.0 ათასი ლარი;
- გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 10.0 ათასი ლარი;
- დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5.0 ათასი ლარი.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **2674,1** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2674.1

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	335.2
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	70.0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	285.2
02 02	გარე განათება	410.1
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	75.1
02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	5.0
02 02 03	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	330.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1483,8
02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	300.0
02 07	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	125.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		355.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება.</p>		

მიღწეული შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
-----------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციტი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, შიდა გზების მოხრეშვა, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან და ჩამონაშალი კლდოვანი ნარჩენებისაგან გზების განთავისუფლება.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		285.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციტი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში 2022 წელს გაგრძელდება და დასრულდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ვიზიტორთა რაოდენობის ზრდისა და ტურიზმის არეალის გაფართოებისათვის სოფელ შუა ამაღლების უდაბნოს სამონასტრო კომპლექსთან საგზაო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები.		

მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		410,1
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა და ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსება. რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება და ზოგ შემთხვევაში ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		75,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. სამსახურის ერთერთ მთავარ საქმიანობაა გარე განათების ქსელს მოვლა- შენახვა- ექსპლუატაცია რაც სამსახურის მიერ აქტუალდებოდა, დღის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ექსპლუატაციაშია 3950 გარე განათების ფრთავის აღრიცხვის კვანძებით აღნიშნულ ქვეპროგრამის ფრთავის განხორციელება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - დონანებულ ნათურების შეცვლა - დონანებულ დ უარვის განათების ბოძების შეცვლა - დონანებულ (მ.შ ს ტუქისგან) სადენებს შეცვლა ალდენა - აღრიცხვის კვანძების ალდენა - განახლება - გარე განათების ქსელ მუდმივი მეთვალყურეობა - ელექტროსათადროგონაწილების შეძენა დასაწყობება <p>2022 წლის მანძილზე გარე განათების ქსელ იფუნქციონირებს გამართულად</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	2022 წელში განხორციელდება გარე განათების ახალი ბოზების, განათების ფარების და ელ. ხაზების მოწყობა(ქსელის გაფართოება)		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ახალი სანათები და გაზრდილია გარე განათებით უზრუნველყოფილი გზების მონაკვეთი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ელექტრო ენერჯის ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 03		330,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ელექტრო ენერჯის ხარჯი დაახლოებით 400,0 ათასი ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია დროულად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შედეგად წარმოშობილი ელ. ენერჯის ხარჯის გადახდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		1483,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა.</p> <p>მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები, კერძოდ: მოხდება არსებული და ახალი წყალგაყვანილობის ქსელის რეაბილიტაცია, ჩატარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები და ადმინისტრაციული შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.</p>		
მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალგაყვანილობის სისტემები, რეაბილიტირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		1483,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრციითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული მომსახურების უზრუნველყოფა</p> <p>ჩოხატაურის ტურისტული მრავალფეროვნების განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭეისათვის (მე-2 ეტაპი) ახალი რეკრეაციულ-მოსასვენებელი პარკის მოწყობა. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტის ხარჯებით განხორციელდება პროექტი „ბუკისციხის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შექმნის გზით თემის აღორძინების ხელშეწყობა.“ სოფ. ბუკნარში „თანასწორობის ცენტრის“ შექმნის მიზნით სოფლის ცენტრში არსებული შენობის ნაწილობრივ რეაბილიტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის შექმნა. სოფ. ბუკნარში შექმნილია „თანასწორობის ცენტრი“ და ცენტრის ფუნქციონირების მიზნით რეაბილიტირებულია შესაბამისი ფართი.</p>

ასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა	დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	02 05		300,0
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სოვრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება 2021 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისა. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია შესყიდული საპროექტო დოკუმენტაციის მაღალი ხარისხი.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		125,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; ტურისტების რაოდენობის გაზრდა. უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს დამსვენებლებისთვის გაუმჯობესებული პირობები და გაზრდილი ტურისტების რაოდენობა მ.შ. ზამთრის სეზონზეც.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; გაზრდილია ტურისტების რაოდენობა.		

მუხლი 17. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **682,5** ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	682,5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	640,5
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	42,0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		640,5
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბასა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმ. ერთეულებიდან (სადაც განთავსებულია 344 ერთეული ნაგავშემკრები ურნა) ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბა ბახმაროდან სეზონის პერიოდში ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა ყოველდღიურად და ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორცილდება დაბის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში პერიოდულად ხორცილდება მუნიციპალიტეტში შემოსასვლელ და გასასვლელ მთავარ გზაზე ასევე ბახმაროს სეზონზე კურორტისკენ მიმავალ გზაზე გადაყრილი ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სასაფლაოების გაწმენდა, დასუფთავება, მოცელვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასები, სეზონურად საჭიროებისამებრ.</p>		

	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროულად განხორციელდება ნარჩენების შეგროვება და ნაგავსაყრელზე გატანა რაც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის დაბისა და ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები.</p>

პროგრამის დასახელება	კოდ ო	<p>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა</p>	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		42,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობა კერძოდ გასვლა-ფორმირება, შებარვა, გაცეღვა, დასუფთავება, საფეხმავლო ბილიკების გაწმენდა სარეველებისგან, სარეველების შეწამვლა, ახალი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა.</p> <p>ასევე ხორციელდება დუმბაძის ქუჩაზე და კოსტავას ქუჩაზე ხე-მცენარეები შეთეთრების სამუშაოები.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკვერები და პარკები იქნება მოვლილი და დასუფთავებული</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები.</p>		

მუხლი 18. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1641,0** ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
04 00	განათლება	1641,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1550,0
04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	70,0
04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა.	21,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1550,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მომავალი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, უზრუნველყოფილი იქნება მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდება.</p> <p>მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 574 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>გაუმჯობესებულია საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი;</p> <p>სრულყოფილია განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების სისტემის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		70,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებასა და სხვა ღონისძიებების მოწყობას.		
მოსალოდნელი შედეგი	განმახორციელებელი და სააღმშენებლო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		21,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მოხდება მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით კადრების გადამზადება		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ თანამშრომელთა ეფექტიანობის გაზრდა		

მუხლი 19. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2535,0 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2535,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	870,0
05 01 04 03	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო	200,0
05 01 05	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	475,0
05 01 06	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	25,0
05 01 07	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“	170,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1555,0
05 02 01 02	კულტურის ცენტრი	780,0
05 02 08 01	საახალწლო ღონისძიებების ხარჯი	5,0
05 02 09	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები	390,0
05 02 10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	380,0
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0
05 03 01	ახალგაზრდული საკმეინოების ხელშეწყობა	50,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	10,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		870,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ღონე“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების განიზავი და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, რტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან ამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და რთაშორისო ასპარეზობებში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. განხორციელდება ლელობურთის და რაგბის განვითარების ხელშეწყობა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოზარდებში ჯანსაღი გარემოს შექმნა და სპორტის პულარიზაცია, სპორტულად აქტიური ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 04 03		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმარო		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საფეხბურთო აკადემია სადაც სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში 130 მოზარდია გაერთიანებული. საფეხბურთო კლუბი ბახმარო დაქვეითა მე-4 ლიგაში. გუნდის მიზანია კვლავ დაბრუნება მე-3 ლიგაში.
მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა საფეხბურთო აკადემიაში ჩართული მოზარდების რაოდენობის გაზრდა. საფეხბურთო კლუბის მე-3 ლიგაში დაბრუნება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	05 01 05	ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	475,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობების პროფესიონალ რტსმენებად ჩამოყალიბებას, მოეწყობა შეჯიბრებები :</p> <ul style="list-style-type: none"> - ნარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - ბილიარდი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - ფუტბალი - ჩოხატაურელი იუნკერების მაკარ ბურჭულაძის , აკაკი და გედეონ ხუნდაზეების სახელობის ტურნირი. - ჭადრაკი - მუნიციპალიტეტის პირველობა და რეგიონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოჭადრაკეთა მივლინება. - მაგიდის ჩოგბურთი - მუნიციპალიტეტის პირველობა. - ლელო - მუნიციპალიტეტის პირველობა. - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ბაგირის გადაძალვაში და სხვა. - ფეხბურთი - ვეტერან ფეხბურთელთა შეჯიბრი. - მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - რუსეთის აგრესიის შედეგად სამაჩაბლოში დაღუპული ჩოხატაურელი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. - ტრადიციული დოდი და სხვა ღონისძიებები, კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულთან დაკავშირებით. 		

	<ul style="list-style-type: none"> - აფხაზეთის ომში დაღუპული ჩოხატაურელი მეგრძოლების ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში. - ბაზიერეობა - მუნიციპალიტეტის პირველობა და სხვა ღონისძიებები. - აღნიშნული ცენტრი აერთიანებს ძიუდოს, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 12 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 315 მოსწავლე სპორტსმენი.
მოსალოდნელი შედეგი	დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	05 01 06	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	25,0
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სპორტული და საბავშვო ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა. სპორტული მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი და ჩასატარებელი მატჩებისათვის და ღონისძიებებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტები შეუფერხებლად უმასპინძლებს წლის განმავლობაში გასამართ ყველა ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 07		170,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „ლონე“ მიზნად ისახავს რაგბის პოპულარიზაციას, ჩოხატაურის რაგბის ტრადიციების აღდგენა განვითარებას, მასობრივი სპორტის ხელშეწყობას.		
მოსალოდნელი შედეგი	დამკვიდრებულია მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესი და გაზრდილია ინტერესი სპორტული ღონისძიებების მიმართ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1555,0

პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები, ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამისა და სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები ჩატარება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი, მოხდება საახალწლო ღონისძიებების გამართვა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა, სხვადასხვა ართობი და კულტურული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		780,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საშობაო ღონისძიება. დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო. - ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი კურორტ ბახმაროში. - გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი საღამო. <p>კულტურის ცენტრი აერთიანებს ანსამბლებს: „გურია“ -ს, „ნართი“-ს, „კრიმანჭულ“-ს, მანდილ“-ს, „ამაღლება“-ს საესტრადო ჯგუფებს, მგალობელთა ჯგუფს, ცეკვის ანსამბლებს, თეატრალურ დასს. კულტურის ცენტრის თანამშრომელთა ძალებით ხდება ხალხური რეწვის, ფოლკლორის მოძიება და დამუშავება და მაყურებელთათვის მიწოდება.</p> <ul style="list-style-type: none"> - ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 		

	<ul style="list-style-type: none"> - სახალხო თეატრის იუბილე. - სპექტაკლის პრემიერა. - ლოტბარ რამინ მიქაბერიძისადმი მიძღვნილი საღამო. - გურული სიმღერების ფესტივალი. - საანგარიშო კონცერტი. - საახალწლო კონცერტი ღია ცის ქვეშ.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, დაფინანსებულია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები

ვეპროგრამის დასახელება	კოდი	საახალწლო ღონისძიებების ხარჯი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 08 01		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ახალი წლის ღამის ღონისძიებისთვის ფეიერვერკის შეძენა.		
მოსალოდნელი შედეგი	შეძენილია საახალწლო ღონისძიების გაფორმებისთვის ფეიერვერკი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		390,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოსწავლეების მუსიკალურ ცოდნის გააღრმავება სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, მოსწავლეები მუსიკალურ ცოდნას გააღრმავებენ სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, ვოკალურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში.</p> <p>მოეწყობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - მონაწილეობა გამოფენა-კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი“ - მონაწილეობის მიღება ქ. თბილისში საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები: მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალი შესარჩევ ტურში. - მონაწილეობის მიღება ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო გამოფენა კონკურსში „ლიდიცე-2022“ - სტუმრად ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში(თემა, ჩანახატები) - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი შიდა და სარაიონო ღონისძიება - სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი სინფონიურ ორკესტრთან ერთად - კონკურსი ეტიუდების დაკვრაში - გიორგობისადმი მიძღვნილი ღია კონცერტი - ღია საკარნავალო კონცერტი - საქართველოს ხელოვანთა კავშირის „ხელოვნება მომავლისათვის“ „მომავლის ვარსკვლავები“მე-14 რესპუბლიკურ ფესტივალის გალა კონცერტში მონაწილეობა. - საგაზაფხულო ერთკვირიანი პლენერი ბუნებაში - კონკურსი „ნორჩი დეკლამატორი 2022“ - 		

მოსალოდნელი შედეგი	გაღრმავებულია მოზარდებში მუსიკალურ ცოდნა სხვადასხვა ჟანრებში: კლასიკურ, პოპკულურ, საფორტეპიანო და საორკესტრო ჯგუფებში

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 10		380,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და პოპულარიზაცია; საბიბლიოთეკო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლების განვითარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მთლიანად ფინანსდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი განხორციელებული ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - საახალწლო ღონისძიება - შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან - ჩოხატაურში მცხოვრები მხატვრების კატალოგის გამოცემა - რეწვის ნიმუშების გამოფენა - ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა - კალანდა გურიაში 		

	<ul style="list-style-type: none"> - ლეგენდები სახალხო გმირებზე „ბუკისციხელი მარიამ“ საგანმანათლებლო ღონისძიება ქართული ენის დღესთან დაკავსირებით - საგანმანათლებლო ღონისძიება „წკეპლის ჭურჭელი“ - სოფლად მცხოვრებ ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა - მოსე გოგიბერიძის საიუბილეო საღამო - საჯარო ლექცია ერისთავების შესახებ - საჯარო ლექცია ნიკო მარის სახლ-მუზეუმში. - საუბრები მწერლის სახლ-მუზეუმში-შეხვედრა მწერლებთან. <p>მოხდება საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ გაზეთების, წიგნების შექმნა, რაც უზრუნველყოფს მკითხველთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დაცულია მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაფინანსებულია საბიბლიოთეკო გაერთიანება და გაზრდილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენტა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება და სვა ღონისძიებები. განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საჯარო სკოლებში მოსწავლეების უფრო გააქტიურებას, სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებას და სხვა ღონისძიებების მოწყობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ღონისძიებებში ჩართულობა და უზრუნველყოფილია ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03 01		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.</p> <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სივრცის შექმნა, ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეები/ინიციატივები, შეიქმნება ახალგაზრდული საბჭო.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>შექმნილია ახალგაზრდული სივრცე, გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ახალგაზრდული საბჭო შექმნილია და ახალგაზრდული საქმიანობა ხელშეწყობილია.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		10.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მოხდება ყოველკვარტლურად შემოქმედის ეპარქიის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა რომელიც მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	უნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ნანსური მხარდაჭერა.
--------------------	---

მუხლი 20. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **1254,0** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1254,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	140,0
06 01 02	კორონა ვირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გასაწევი ღონისძიებების დაფინანსება(თანადაფინანსება)	60,0
06 02	სოციალური პროგრამები	1054,0
06 02 01	დაკრძალვის ხარჯი	2,0
06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი	155,0
06 02 04	დევენილთა დახმარება	11,0
06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	21,0
06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი	505,0
